ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

21/08/2019

1015-25-4-201908211005

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1015

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე დახურული კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე, 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარებების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს დახურული კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

№	საკონკურსო თანამდებობა	რაოდენობა
1	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
2	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის სახელშეკრულებო მონიტორინგის, საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილების უფროსი	1
3	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების უფროსი	1

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიას არაუგვიანეს 2019 წლის 30 აგვისტოსა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და დახურული კონკურსის გამოცხადება.

3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი